ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7514694

ნომერი: AR11094724

თარიღი : 09.06.2025

გაცემის თარიღი : 16.06.2025

გაცნობის თარიღი : 16.06.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, N 38გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ჭაჭიაშვილი პ/ნ 01024010887
- თბილისი მ.ასათიანის ქ. N 10ა ბ. 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 9 ივნისს №AR11094724 განცხადებით მომართა ზურაბ ჭაჭიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 5 ივნისის №7503958 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 5 ივნისის №7503958 ბრძანებით, №01.10.07.007.156 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლის მიერ განმარტებულია, რომ სამსახურის 2025 წლის 5 ივნისის №7503958 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე არასწორად არის დაფიქსირებული საცხოვრებელი ბინების ნუმერაცია. შესაბამისად, მოთხოვნილია შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილით.
სამსახურმა შეთანხმებული და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 5 ივნისის №7503958 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე საცხოვრებელი ბინების ნუმერაცია არის თანმიმდევრული. შესაბამისად, ბრძანებაში საცხოვრებელი ბინების ნომრებთან და მათ თანმიმდევრობასთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება.
რაც შეეხება, ერთ საცხოვრებელ ბინაზე ორ-ორი ნომრის მითითებას, მაგ.: წარმოდგენილ +19.50 ნიშნულის გეგმაზე (№66-№67), დაუშვებელია. აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურის მიერ შეთანხმებულ ბრძანებაში არ ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა საცხოვრებელი ბინების ნუმერაციასთან დაკავშირებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2025 წლის 5 ივნისის №7503958 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.